

## ოქმი

საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის დროს ხელმოწერნი შეთანხმდნენ შემდეგ დებულებებზე, რომლებიც წარმოადგენენ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს:

1. საქართველოს შემთხვევაში, ტერმინი “პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფები” ნიშნავს საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს.
2. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის a) ქვეპუნქტთან დაკავშირებით, ხელფასზე დარიცხული გადასახადები რეგულირდება შეთანხმების დებულებებით, რომლებიც ეხება, გარემოებათა შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას ან დამოუკიდებელი პირადი მომსახურებით მიღებულ შემოსავალს.
3. ტერმინი “კომპანია” საქართველოს შემთხვევაში ნიშნავს საწარმოს ან ნებისმიერ ერთეულს, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას.
4. მე-4 მუხლთან დაკავშირებით, ტერმინი “ხელშემკვერელი სახელმწიფოს რეზიდენტი,” როდესაც სახელმწიფოს წარმოადგენს საფრანგეთი, მოიცავს ნებისმიერ ამხანაგობას ან პირთა ჯგუფს, რომელთა ფაქტობრივი მართვის ადგილი მდებარეობს საფრანგეთში და რომელთა თითოეული აქციონერი, პარტნიორი ან სხვა წევრი პერსონალურად ექვემდებარება დაბეგვრას მოგებაში თავიანთ წილთან მიმართებაში საფრანგეთის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.
5. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის a) და b) ქვეპუნქტებთან დაკავშირებით, ხელშემკვერელ სახელმწიფოში მდებარე საქონლის საწყობიდან მიწოდების დროს ამ სახელმწიფოში წარმოიქმნება მუდმივი დაწესებულება, თუ ამ საწყობში ან ნაგებობაში ადგილი აქვს საქმიანობას, რომელიც განსხვავდება შენახვასთან, დემონსტრირებასთან, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ან მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათის მქონე საქმიანობისგან.

6. ტერმინი “უძრავი ქონება,” რომელიც განსაზღვრულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, მოიცავს ოფციონებს, გაყიდვის ვალდებულებებს და მსგავს უფლებებს ასეთ ქონებასთან მიმართებაში.

7. მე-7 მუხლთან დაკავშირებით:

a) როდესაც ხელშემკვერელი სახელმწიფოს საწარმო ყიდის საქონელს ან ეწევა საქმიანობას მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოში იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, ამ მუდმივი დაწესებულების მოგება განისაზღვრება არა საწარმოს მიერ მიღებული მთლიანი თანხის საფუძველზე, არამედ იმ ანაზღაურების მიხედვით, რომელიც შეესაბამება ამგვარ გაყიდვებსა ან საქმიანობაში მუდმივი დაწესებულების ფაქტობრივ წვლილს.

b) კონტრაქტების შემთხვევაში, კერძოდ, თუ ის დადებულია სამრეწველო, კომერციული ან სამეცნიერო დანიშნულების აპარატურის ან შენობა-ნაგებობების ან საზოგადოებრივი სამუშაოების შესწავლასთან, მიწოდებასთან, მონტაჟთან ან მშენებლობასთან დაკავშირებით, როდესაც საწარმოს აქვს მუდმივი დაწესებულება, ამგვარი მუდმივი დაწესებულების მოგება განისაზღვრება არა კონტრაქტით გათვალისწინებული მთლიანი თანხის საფუძველზე, არამედ კონტრაქტის მხოლოდ იმ ნაწილის საფუძველზე, რომელსაც ფაქტობრივად ახორციელებს მუდმივი დაწესებულება იმ ხელშემკვერელ სახელმწიფოში, სადაც ის მდებარეობს. მოგება, რომელიც უკავშირდება იმ კონტრაქტის ნაწილს, რომელიც ხორციელდება იმ ხელშემკვერელ სახელმწიფოში, სადაც მდებარეობს საწარმოს ფაქტობრივი მართვის ადგილი, იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

8. მე-10, მე-11, მე-12 და 22-ე მუხლების დებულებები არ გამოიყენება, თუ ნებისმიერი პირის მიერ აქციების ან სხვა უფლებების, რომელთა საფუძველზე გაიცემა დივიდენდები, გამოშვების ან გადაცემის; სავალე ვალდებულების, რომლის საფუძველზე ხდება პროცენტის გადახდა, შექმნის ან გადაცემის; უფლების, რომლის საფუძველზე ხდება როიალტის ან სხვა შემოსავლის გადახდა, შექმნის ან გადაცემის ძირითადი მიზანი ან ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ამ მუხლებით გათვალისწინებული სარგებლის მიღება ამგვარი გამოშვების, შექმნის ან გადაცემის საშუალებით.

9. მე-12 მუხლთან დაკავშირებით, ტექნიკური მომსახურებისთვის მიღებული ანაზღაურება, სამეცნიერო, გეოლოგიური ან ტექნიკური ხასიათის კვლევის ან შესწავლის ჩათვლით, ასევე საპროექტო კონტრაქტებისა და მათთან დაკავშირებული პროექტებისათვის ან საკონსულტაციო ან საზედამხებველო

მომსახურებისთვის მიღებული ანაზღაურება არ ჩაითვლება სამრეწველო, კომერციულ ან სამეცნიერო გამოცდილებასთან დაკავშირებული ინფორმაციისთვის მიღებულ ანაზღაურებად.

10. a) ფიზიკური პირის მიერ, რომელიც დამოკიდებულ პირად მომსახურებას ეწევა ხელშემკვრელ სახელმწიფოში, მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში შექმნილ და საგადასახადო მიზნებისთვის აღიარებულ საპენსიო პროგრამაში განხორციელებული შენატანები პირველად ხსენებულ სახელმწიფოში ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას ექვემდებარება დაქვეითვას. ასეთ შენატანებზე ამ სახელმწიფოში გავრცელდება ისეთივე რეჟიმი, იგი დაექვემდებარება იგივე პირობებსა და შეზღუდვებს, როგორც პირველად ხსენებულ სახელმწიფოში განხორციელებული შენატანები საგადასახადო მიზნებისთვის აღიარებულ საპენსიო პროგრამაში, იმ პირობით, რომ საპენსიო პროგრამა მიღებულია ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ და ძირითადად შეესაბამება ამ სახელმწიფოს მიერ საგადასახადო მიზნებისათვის აღიარებულ საპენსიო პროგრამას.

b) a) ქვეპუნქტის მიზნებისათვის:

- (i) ტერმინი “საპენსიო პროგრამა” ნიშნავს ღონისძიებას, რომელშიც მონაწილეობას იღებს ფიზიკური პირი, რათა უზრუნველყოს ასაკობრივი პენსიის მიღება a) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დამოკიდებულ პირად მომსახურებასთან დაკავშირებით; და
- (ii) საპენსიო პროგრამა არის “საგადასახადო მიზნებისთვის აღიარებული” ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ აღნიშნულ პროგრამაში განხორციელებულ შენატანებზე ვრცელდება ამ სახელმწიფოს საგადასახადო შეღავათები.

11. 22-ე მუხლის დებულებები არ შეეხება აზარტული თამაშებიდან მიღებულ შემოსავალს.

12. შეთანხმების დებულებები არ ზღუდავს საფრანგეთს გამოიყენოს თავისი ზოგადი საგადასახადო კოდექსის (code général des impôts) 212-ე მუხლის დებულებები ან ნებისმიერი არსებითად მსგავსი დებულებები, რომლებსაც შეუძლიათ შეასწორონ ან შეცვალონ ამ მუხლის დებულებები.

რის დასტურადაც, ამ ოქმს ხელი მოაწერეს სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა.

შესრულებულია 2007 წლის 7 მარტს ქ. წარინში, ორ ეგზემპლარად, ქართულ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტს გააჩნია თანაბარი ძალა.

საქართველოს მთავრობის  
სახელით



საფრანგეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

